



კოალიცია  
დამოუკიდებელი  
და გამჭვირვალე  
მართლმსაჯულებისთვის  
Coalition for  
an Independent and  
Transparent Judiciary

**კოალიციის ღია წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს,  
ბატონ დავით უსუფაშვილს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში  
შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით**

კოალიციას დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის სურს გამოხატოს საკუთარი პოზიცია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლის ძირითადი ნაწილიც დაცვის მხარის საპროცესო შესაძლებლობებს შეეხება და რომელიც პრეზიდენტის მიერ ვეტოს გამოყენების შემდეგ განსახილველად დაუბრუნდა საკანონმდებლო ორგანოს. კოალიციას სურს დააფიქსიროს მოსაზრება რიგი ფუნდამენტური საკითხების მიმართ, რომელთა გათვალისწინებაც მიგვაჩნია არსებითად კანონპროექტის შემდგომი დახვეწისათვის.

ნათელია, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ხარისხი მნიშვნელოვანწილად მხარეთა რეალურ თანასწორობაზეა დამოკიდებული. სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობა კონსტიტუციით აღიარებულ პრინციპს წარმოადგენს, რომელიც საფუძვლად უდევს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მთელ რიგ დებულებებს. თუმცა, რეალური შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის მისაღწევად მხარეთათვის საპროცესო უფლებების თანაბრად უზრუნველყოფაა საჭირო.

სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია დაცვის მხარეს, ბრალდების მხარის მსგავსად, მიეცეს ჩხრეკისა და ამოღების შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. პრეზიდენტის მიერ შენიშვნებით დაბრუნებულ კანონპროექტში გათვალისწინებულია ამ შესაძლებლობის 2013 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედება, ნაცვლად 2014 წლის 1 სექტემბრისა, რაც უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

რაც შეეხება დაცვის მხარის საგამონაკლისო უფლებას (იგულისხმება დაცვის მხარის მიერ დამატებით ახალი მტკიცებულების წარდგენა არსებითი განხილვის დროს), ის დაცვისათვის მნიშვნელოვან საპროცესო შესაძლებლობას წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს დაცვისა და ბრალდების მხარის საპროცესო შესაძლებლობათა დაახლოებას, ამიტომაც მიგვაჩნია, რომ მისი შენარჩუნება აუცილებელია. საქართველოს პარლამენტის მიერ სამი მოსმენით მიღებული კანონპროექტით ამ ნორმის ამოღება იყო გათვალისწინებული 2014 წლის 1 სექტემბრიდან. საქართველოს პრეზიდენტის მიერ პარლამენტისათვის დაბრუნებულ კანონპროექტში ნორმის საერთოდ ამოღებაზე უარია ნათქვამი, რაც აგრეთვე მიზანშეწონილია.

მიგვაჩნია, რომ მხოლოდ პრეზიდენტის შენიშვნების გათვალისწინება ვერ გადაწყვეტს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დაყენებულ ყველა პრობლემას. დღის წესრიგში კვლავ რჩება ისეთი ხარვეზები, როგორებიცაა: დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული მტკიცებულებების პირველადი გამოკვლევის უფლების

**კოალიციის წევრები:**

კონსტიტუციის 42-ე მუხლი  
მრავალეროვანი საქართველო  
სოლიდარობა უკანონო  
პატიმრებს  
საქართველოს მცირე და  
საშუალო საწარმოთა  
ასოციაცია  
სამოქალაქო ინტეგრაციის  
ფონდი  
საქართველოს ადვოკატები  
დამოუკიდებელი  
პროფესიისათვის  
ბიზნესისა და ეკონომიკის  
ცენტრი  
ლიბერალი  
კონსტიტუციური უფლებების  
დაცვის ცენტრი  
სამართლიანი არჩევნებისა და  
დემოკრატიის საერთაშორისო  
საზოგადოება  
ასოციაცია მწვანე ტალღა  
კავშირი "21-ე საუკუნე"  
საქართველოს ახალგაზრდა  
იურისტთა ასოციაცია  
ადამიანის უფლებათა ცენტრი  
საერთაშორისო  
გამჭვირვალობა საქართველო  
დემოკრატი მესხთა კავშირი  
თავისუფლების ინსტიტუტი  
საქართველოს ადვოკატთა  
ასოციაცია  
სამოქალაქო განვითარების  
სააგენტო  
საქართველოს გაეროს  
ასოციაცია  
ევროპის იურისტ  
სტუდენტთა ასოციაცია  
სამოქალაქო საზოგადოების  
ინსტიტუტი  
ფონდი ღია საზოგადოება  
საქართველო  
დემოკრატიის ინსტიტუტი  
ამერიკის სავაჭრო პალატა  
სამოქალაქო ინიციატივების  
და დასაქმებულთა დაცვის  
ასოციაცია  
ევრაზიის თანამშრომლობის  
ფონდი  
ინფორმაციის თავისუფლების  
განვითარების ინსტიტუტი  
ადამიანის უფლებათა  
პრიორიტეტი  
თბილისის მედია კლუბი  
ადამიანის უფლებების  
სწავლებისა და  
მონიტორინგის ცენტრი  
იურიდიული განათლების  
ხელშეწყობის ფონდი

ბრალდების მხარისათვის მინიჭება, რაც გარკვეულ წინააღმდეგობაში შეიძლება მოდიოდეს კონსტიტუციასთან და მოწმეთა სასამართლოში დაკითხვის ახალი წესის ამოქმედების გადავადება.

მოვუწოდებთ საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, ერთი მხრივ, გაიზიაროს შენიშვნები და ხოლო მეორეს მხრივ, უზრუნველყოს სამოქალაქო სექტორის, იურიდიულ პროფესიისა და ადვოკატთა კორპუსის ჩართულობით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების დროული აღმოფხვრა.

დავით ასათიანი

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის  
თავმჯდომარე

კახა კოჭორიძე

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის  
თავმჯდომარის მოადგილე